# ცნობის ფურცელი

IV წ. ყოველ დღიური გაზეთი კვირა-უქმეების შემდეგაც.— ხუთშაბათი, 23 დეკემბერი 1899 წ. № 996.

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში (ვაჭის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვაჭის დიდ ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

ტელეფონი № 372 — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"—„Моамбэ"

## 1900 წ.

| „მოამბე" (წელიწადი მეშვიდე) | „ცნობის ფურცელი" (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში | გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლ. 6 თვ. 3 თვ. | 1 წლით 1 თვით |
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში . . . 10 მ. 6 მ. 4 მ. | რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . 6 მან. 75 კაპ. |
| საზღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . . 13 მ. 7 მ. 5 მ, | საზღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . . 7 მან, 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. დ 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც ორივე გამოცემას ერთად გამოიწერს შეღავათი მიეცემა**

| | |
| --- | --- |
| **ჟურნალში ქოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის მინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | **გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.** |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ" и „Цнобисъ-Пурцели"

Въ Центральной книжной торговлѣ (въ Тифлисѣ) и въ книжномъ магазинѣ Бежанейшвили (въ Кутаисѣ) продается **новая книга**

## Календарь-Альманахъ
### НА 1900 Г.

сост. **Г. Ласхишвили**

(съ картой Трансвааля и портретами буровъ).

Въ книгѣ кромѣ календарныхъ свѣдѣній помѣщены разсказы К. С. Баранцевича, Малишевкаго и др.; стихотворенія Иванъ-да-Марья и Л. Кипіани; театральное обозрѣніе и др. статьи. **Ц. 20 коп.**

Складъ изданія—въ литографіи Шахбазіана, на Барятинской ул., д. № 8.

6. (10—1)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო და თვალის ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას—მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი სექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

**სამკურნალოს დირექტორი**
**ს. ბ. თოფურია**

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად უწყალობა წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენები შემდეგ პირთ 25 წლის ერთგული სამსახურისთვის: მე-154 დერბენტის საქვეითო პოლკის პოდპოლკოვნიკს თავ. ალექსანდრე ბარათაშვილს; პირველ ტამანის ყაზახ-რუსთა პოლკის კოისკოვის სტარშინას სამსონ წერეთელს; მე-155 კუბანის საქვეითო პოლკის კაპიტანს დავით გეგელაშვილს; მე-258 სოხუმის სარეზერვო ბატალიონის კაპიტანს დიმიტრი მგალობლიშვილს; ფოთის სარეზერვო საქვეითო პოლკში ნამსახურს კაპიტანს ნიკ. ვართანაშვილს; თემრიუკის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეს თავ. ესტატე მაღალაშვილს; ტფიბულის საბოქაულოს პრისტავს მაქსიმე აბულაძეს; ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის თარჯიმანს მისილ მანსვეტაშვილს; ალექსანდროპოლის მაზრის უფროსის თანაშემწეს თავ. ანდრონიკაშვილს; ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწეს ალექსანდრე წერეთელს; ურავლის, ახალციხის მაზრის, საბოქაულოს პრისტავს თავ. კონსტ. მალიკაშვილს; სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწეს თავ. ვლადიმერ აბაშიძეს; ტფილისის საბოქაულოს პრისტავს ელიზბარ გუგუშვილს; და შუშის მაზრის მე-3 საბოქაულოს პრისტავის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. დიმიტრი ვაჩნაძეს.

—

დაინიშნა: კავკასიის სარეზერვო საარტილერიო ბრიგადის შტაბს-კაპიტანი ესაძე ტფილისის საარტილერიო სახელოსნოს უფროსის თანაშემწედ.

ხარჯთ ამკრეფის ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელნი—ქუთაისისა ჩიქოვანი, ბათუმისა თავ. წერეთელი და რაჭისა ნოდია დამტკიცებულ იქმნენ თანამდებობაში.

## ახალი ამბავი

—

✦ **ახალქალაქიდან** საშინელი ამბები მოდის იმ უბედურების შესახებ, რომელიც მოახდინა 19 დეკემბრის მიწის ძვრამ. ბარალეთის საბოქაულოში ნახევარზე მეტი ყველა შენობებისა დანგრეულია. როგორც ამბობენ ექვსსამდე კაცი უნდა იყოს დაღუპული. ნავაგინის პოლკის ორი ბატალიონი მუშაობს და ჩხრეკს ნანგრევებს. ოთხი კაცი ცოცხალი ამოუჩენიათ ნანგრევებ ქვეშ. დანგრეულ სოფლებში გაგზავნილ იქმნა ექიმები და ფერშლები წამლებით. მიწის ძვრას, როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, დაუნგრევია სრულიად ექვსი სოფელი და ნახევრად შვიდი, სულ ცამეტი სოფელია დაზიანებული. ხალხი მეტად გაჭირვებულია.

✦ ტფილისის გუბერნატორი **ი. ნ. სვეჩინი** ახალქალაქში წავიდა, რათა ადგილობრივ მიიღოს საჭირო ზომები უბედურებაში ჩავარდნილ სოფლელთა საშველად.

✦ **ტფილისის საკომერციო ბანკმა** 3000 მანათი შესწირა ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. იმავე საქმისათვის ტფილისის **საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ** გადადვა 1000 მან.

✦ როგორც „ტფ. ფურცელი" იტყობინება, ტფილისში არსდება **საგანგებო კომისია,** რომელსაც საგნად ექნება აგროვოს შემოწირულებანი და გაანაწილოს იგი ახალქალაქის მაზრის დაზარალებულთა შორის. კომისიის თავმჯდომარედ იქნება ტფ. გუბერნიის მმართველი ი. ნ. სვეჩინი, ხოლო წევრებათ—თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის მოურავი, ადგილობრივ ბანკების წარმომადგენელნი და ზოგიერთი საპატიო პირნი.

✦ 19 დეკემბერს მომხდარ **მიწის ძვრის შესახებ** კიდევ მოვიდა ახალი ცნობები: **ბორჯომში** მიწის ძვრას დაუზიანებია ეკკლესია, კაზარმა და რამდენიმე სახლი. გორის მაზრის სოფ. ახალქალაქში 1 საათზე და 30 წამზე ყოფილა მძლავრი მიწის ძვრა. დაზიანებულა რამდენიმე სახლი და დანგრეულა გლეხების სხვა და სხვა საოჯახო შენობა. **ბათუმში** მიწის ძვრა იყო 1 საათსა და 55 წამზე, 10—12 წუთის განმავლობაში. მიწის ძვრა სუსტი იყო და არაფერი დაზიანებულა. ამავე დროს და აგრეთვე სუსტი იყო მიწის ძვრა **ფოთში და ქუთაისში.**

✦ ართვინის ოლქში, როგორც იუწყებიან, **საშინელი ზამთარი** სდგას. სიცივეები 20 გრადუსამდე ადის თურმე. ხალხი ძალიან გაჭირვებულია.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გაუგზავნია ჩვენის ქვეყნის ყველა **მეაბრეშუმეთათვის** პროექტი გრენით ვაჭრობაზე კონტროლის შემოღების შესახებ და პროექტი უცხოეთიდან მოსულ გრენაზე ბაჟის დაწესების შესახებ. საბჭო სთხოვს მათ—თქვენი აზრი წარმოადგინეთო ამ პროექტების შესახებ.

✦ სამშაბათს, 28 დეკემბერს, მოხდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა მესამე კრება **აბრეშუმის გრენის შემოწმების შესახებ.** 21 დეკემბერს მომხდარ კრებაზე მოსმენილი იყო

სხვათა შორის ბ. ზორიევის მოხსენება აბრეშუმის გრენის რაოდენობის შესახებ. როგორც ბ. ზორიევის სტატისტიკური ცნობებიდანა სჩანს, სულ მთელს ამიერ-კავკასიაში საჭიროა 200,000 230,000-მდე ყუთი აბრეშუმის გრენი და უცხოეთიდან კი გასასყიდათ მოაქვთ 500,000 ყუთზე მეტი, რომლის უმეტესი ნაწილი უვარგისია დგება ხოლმე. ბ. ზორიევი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ აუცილებლად საჭიროა კონტროლი გრენისა და აღკრძალვა 230,000 მეტი ყუთის გაყიდვისა.

✦ **ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა და ნასირბეგოვის დავის შესახებ** ოლქის სასამართლომ გუშინ განაჩენი არ გამოიტანა. სასამართლომ გუშინ ბანკის გამგეობას მოსთხოვა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ბანკის დირექტორად ნამყოფს პავლე ყიფიანს ქ. ბაქოში.

✦ გუშინ-წინ, 21 დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან დანიშნულ იყო **საჯარო გასასყიდად** ტფილის გარედ ქალაქის მამულები რიცხვით 128. გასყიდამდე დახსნილ იქმნა გასყიდვისაგან 120 მამული, რადგანაც პატრონებმა ბანკში შესატანი ფული შეიტანეს. დარჩა გასასყიდად რვა მამული, რომელზედაც თავნი ვალი იყო 63431 მ. და 42 კ., აქედან გაიყიდა ექვსი მამული 123,399 მანეთად. ხელმეორე გასასყიდად დარჩა ორი მამული, რომლებზედაც თავნი ვალია 20986 მან. 10 კაპ. („ივერია“).

✦ ოძისში, თავ. ზაქ. ერისთავის მიერ შეწირულს მამულში, მთავრობამ განიზრახა, როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, **სამეურნეო სასწავლებლის დაარსება**. სამიწად-მოქმედო სამინისტროს გამოანგარიშებით, შენობების ასაგებად საჭიროა 47.275 მან., ინვენტარის შესაძენად—14.500 მ. და ყოველ წლივ სკოლისა და პანსიონის შესანახად საჭირო იქნება 18.000 მან. სამინისტრო დაეკითხა კავკასიის მმართველობას—რამდენი შეიძლება გადადებული იქმნასო კავკასიის საერობო თანხიდანაო.

✦ როგორც გვატყობინებენ, ჩვენებურს **მარგანეცზე** ფასები აწეულია, საზოგადოთ, ბოლოს დროს შესამჩნევად დაეტყო ამ მრეწველობას გაცხოველება.

✦ „ტფ. ფურცლის“ სიტყვით, გორის მაზრის რამდენიმე სოფლის მცხოვრებთ შეამდგომლობა აღუძრავთ სამიწად-მოქმედო სამინისტროს წინაშე—ნება მოგვეცეს ვისარგებლოთ იმ **სახელმწიფო მიწებით**, რომელნიც ჩვენ სანადელო მიწების საზღვრებში არიანო. ეს მიწები წინად ამ გლეხებს ჰქონდათ თურმე იჯარით აღებული, მაგრამ ორის წლის წინად ჩამოერთვათ.

✦ დღეს, საღამოს, მოელიან ტფილისში ტფილისის ვიცე-გუბერნატორს **გ. გ. სტეფანოვიჩს**, რომელიც ორის თვით იყო წასული რუსეთის შიდა გუბერნიებში.

✦ მომავალ 9 იანვარს „ტფილისის დეპუტატთა საკრებულოს“ სადგომში დანიშნულია **გორის მაზრის თავად-აზნაურთა კერძო კრება**. ამ კრებაზე განხილული იქნება ყველა ის საგნები, რომელნიც უნდა წარედგინოს გუბერნიის თავად აზნაურთა ჩვეულებრივს კრებას. სხვათა შორის, კერძო კრება განიხილავს: 1) საქართველოს რუსეთთან შეერთების დღესასწაულის გამართვის საქმეს; 2) სამაზრო სათავად-აზნაურო ხაზინის დაარსების საქმეს; 3) მაზრაში წვრილ კრედიტის ორგანიზაციის პროექტს; 4) ბანკის დამფუძნებელთათვის დასაბრუნებელი ფულებიდან საერთო თანხის შედგენის საქმეს; 5) გორის მემამულეთა სამეურნეო სინდიკატის დახმარების საქმეს; 6) თავად-აზნაურთა ქარვასლის გამგე კომისიისათვის ინსტრუქციას; 7) ქალთა სათავად-აზნაურო სკოლის გახსნის დაჩქარების საქმეს; 8) მაზრაში ქსენონთა დაარსების საქმეს; 9) მაზრაში გზების გაუმჯობესობის საქმეს და სხვას.

✦ ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, რომ ამას წინად „რუსეთის საზღვაოსნო საზოგადოების“ გემი „დიდი მთავრინა ოლგა“ ზღვის საშინელმა ბუქმა მოიტაცა და თავი სინოპში ამოაყოფინა. გემი ხუთ დღეს დადიოდა ზღვაზე უგზო-უკვლოდ. ბოლოს ბუფეტში ყოველივე სურსათი დასრულებულა და 500 კაცი შიმშილით კვდებოდა. ამ დროს, როგორც ჩვენ გვწერენ, გემის კაპიტანთან მისულა ორი მგზავრი, ქართველი ვაჭრები—**მიხეილ გიორგის ძე გაგუა და დავით გიგოს ძე თურქია**—და უთქვამთ: ვწირავთ გაჭირვებაში მყოფ მგზავრებს მთელს ჩვენს საქონელს, რომელიც აქვე გემზე გვაქვსო. ეს საქონელი იყო: 400 ფუთი თართი და ზუთხი, 300 ფუთი ვაშლი, 140 ფუთი მსხალი და 20 ათასი ფორთოხალი. ამ საქონლით უკვებნიათ მგზავრები სინოპამდის.

✦ ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ დღესასწაულების გამო კვირას, 26 დეკემბერს, **ნება დართულია** დუქნებ-მაღაზიების გაღება და **გაჭრობა**.

✦ დიდუბის სახლის პატრონებს უთხოვნიათ ტფილისის გუბერნატორისათვის—დაავალეთ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ რაც შეიძლება მალე შეუდგეს **დიდუბის ქუჩების მოკირწყვლასაო**. ჩვენ უკვე შევიტანეთ 400 მან. ამისათვისო და დანარჩენსაც მაშინვე შევიტანთო, როგორც კი მუშაობა დაიწყებაო.

✦ განზრახულია დაარსონ **საზღვაოსნო სკოლები** ფოთში და ბაქოში.

✦ რედაქციამ მიიღო **ახალი წიგნი** რუსულს ენაზე: „კალენდარ-ალმანახი 1900 წლისა“, შედგენილი გ. მ. ლასხიშვილის მიერ, ტრანსვაალის რუკით. წიგნში გარდა სხვა და სხვა საკალენდარო ცნობებისა დაბეჭდილია მოთხრობები ცნობილის რუსის მწერლის ბარანცევიჩისა, პოლონელ მწერლისა მალიშევსკისა, ლექსები ლევან ყიფიანისა, ივან და მარიასი და სხვა წერილები. წიგნი ღირს 20 კაპ.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

## 21 დეკემბერი.

**ლონდონი.** „სტანდარტ“-ს ატყობინებენ ფრერითან, რომ ბულერი უკანასკნელ ბრძოლის შემდეგ მეტად გასაჭირს მდგომარეობაში ჩავარდა. ეხლა მის წინ, მდ. ტუგელზე, 16 მილის მანძილზე არის ბევრი გამაგრებული გორაკი, რომლებზედაც დგანან ბურების მძლავრი ჯარები მრავალის ზარბაზნებით. მდინარე მეტად ადიდებულია. ამისთანა მდგომარეობაში მყოფს ბულერს მოელის უსაშინელესი ბრძოლა, როგორც არ ყოფილა მთელ ომის განვმავლობაში. ინგლისელთა ზარბაზნები განუწყვეტლივ მუშაობენ, ხოლო პატარა რაზმები მოსვენებას არ აძლევენ ბურების ჯარების მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა მინისტრის გეის მოლაპარაკება ევროპის სახელმწიფოთა და იაპონიის მთავრობებთან იმის შესახებ, რომ ჩინეთის ნავთ-სადგურები გახსნილი იყოს ყველა სახელმწიფოთათვის, კეთილად სრულდება. შტატების მთავრობა ჯერ არ აცხადებს დაწვრილებით, თურა პასუხი მიიღო თითოეულ სახელმწიფოდან, მაგრამ ნამდვილი ამბავია, რომ გერმანიამ, რუსეთმა საფრანგეთმა, იაპონიამ და ინგლისმა თანხმობა გამოაცხადეს ამერიკის წინადადებაზე. არ ეჭვობენ, რომ იტალიაც აგრეთვე მოიქცევა.

**პენზა.** გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე არჩეულ იქმნა ნ. დ. გეელიჩი.

**ხარკოვი.** ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორებმა მოაგროვეს ურთიერთ შორის 2000 მანეთი დასაარსებლად პრემიისა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორად ნამყოფის ალექსეენკოს სახელობაზე. პრემია მიეცემა სტუდენტებს საუკეთესო თხზულებისათვის.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადტიდან, რომ ცხრამეტს დეკემბერს აჯანყებულმა დიდმა ჯარმა იერიში მიიტანა დორდრეხტზე, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნა მოკლულ იქმნა 8 კაცი და 13 ცხენი. ინგლისელთ 4 კაცი დაუჭრეს. „დეილი მაილის“ კორესპონდენტიც იუწყება გენ. ფრენჩის გამარჯვების შესახებ: არტილერიამ გუშინ დაიწყო ბრძოლა ბურებმა პასუხი გასცეს ინგლისელთ ზარბაზნებს. ორის საათის სროლის შემდეგ, ბურების მძიმე ზარბაზნები იძულებული გახდნენ დაჩუმებულიყვნენ. რამდენიმე ზარბაზანი ინგლისელთ დარჩათ ბურებმა დაიწიეს ჩრდილოეთისაკენ. ინგლისელებმა წაართვეს მათ ოთხი ფურგონი სხვა და სხვა სანოვაგით. ინგლისელნი ნაკლებად დაზარალდნენ. მათ უჭირავთ ამჟამად კოლესბერგი.

**ფრერი.** ბურები განუწყვეტლივ ყუმბარებს უშენენ ლედი-სმიტს.

**ლონდონი.** ყოველივე მზად არის მთელის მეშვიდე დივიზიის აფრიკაში გასაგზავნად 30 იანვრამდე. გადამზიდავი გემები ხუთშაბათს გავლენ ზღვაში.

**დურბანი.** უცხოელთა სამხედრო აგენტები, რომლებმაც აქ გაატარეს უქმეები, დღეს დაბრუნდნენ ბანაკებში.

**ბერლინი.** უცხოეთის სამხედრო წარმომადგენელნი გუშინ საუზმეზე იმპერატორთან იყვნენ.

**კალკუტა.** ყველა ადგილობრივ მმართველებმა გამოუცხადეს ინგლისს, რომ უთმობენ ცხენებს სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნად.

მადრასის მაჰარაჯამ აჩუქა ლორდ როტბერტს საუცხოვო სამარი ცხენი არაბეთის ჯიშისა.

### 22 დეკემბერი

**ლონდონი.** გაზეთები ბაასობენ გერმანიის იმპერატორის გუშინდელ სიტყვის თაობაზე და ამბობენ,—დრო არის, რომ ინგლისმაც და პრუსიამაც თავიანთი სამხედრო მოწყობილობა განაახლონ.

სამხედრო სამინისტრომ მიიღო კაპშტადტიდან ფრენჩის მიერ 1-ლ იანვარს გამოგზავნილი მოხსენება კოლესბერგთან მომხდარ ბრძოლის შესახებ. ფრენჩი შემდეგს იუწყება: „მე დავტოვე რენდებურგში ნახევარი შოტლანდიის რაზმისა და ერთი მწყობრი ცხენოსანთა არტილერიისა მტრის შესაჩერებლად და 31 დეკემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე მე გავედი რენდებურგიდან, თან მყავდა მეორე ნახევარი რაზმისა, ცხენოსანთა ხუთი ესკადრონი, ოთხმოცი კაცი ქვეითის ჯარისა ცხენებითა და ათის ზარბაზნითა; ოთხი საათის სიარულის შემდეგ გავჩერდი მაიდერსის ფერმასთან და 1 იანვარს დავდექი ერთ გორაზე, რომელიც სამხრეთით დაჰყურებს კოლესბერგს. მტრის წინა რაზმისათვის მოულოდნელი იყო ჩვენი იქ მისვლა. დილა ადრიანად მე დავუშინე ზარბაზნები მტრის ბანაკების მარჯვენა მხარეს. მტრის არტილერიამ სასტიკად გვიპასუხა. როცა დავადუმე მათი არტილერია, მე გავსწიე ცხენოსანის ჯარით და არტილერიით კოლესბერგის ჩრდილოეთით, სადაც რამდენიმე რკინის გზა იყრის თავს და სადაც ბურების დიდძალ ჯარს დაეჭირა გორა, კოლესბერგის სამხრეთ-დასავლეთით. ჩვენ ისეთი ადგილი დავიჭირეთ, რომ მტერს გზა შევუკარით და ხიდზე არ გავუშვით. თითქმის ორი ათასმა ბურმა ორის ზარბაზნით უკან დაიწიენ ნაუალს პონტისაკენ. ჩვენ მოგვიკლეს 3 კაცი და რამდენიმე დაგვიჭრეს.“

უაიტმა ოფიციალური დეპეშა გამოგზავნა 31 დეკემბერს ლედისმიტიდან იუწყება, რომ იქ მუცლის ტკივილით და ციებით ავადმყოფთა რიცხვი მატულობს.

როგორც სამხედრო სამინისტროს ატყობინებენ, პოლკოვნიკმა პლეტნერმა გაჰფანტა გუშინ ბელმონტის სიახლოვეს, ლუნსდიდთან, ბურების ჯარი და დაიჭირა ბანაკი. ბურების მხრით მრავალია მოკტული და დაჭრილი, და 40 კაცი ტყვედ ჩაუვარდა ინგლისელებს. ამათი მხრით კი დაჭრილია ერთი აფიცერი და ერთი ჯარის-კაცი.

**ჰამბურგი.** „ვოლფ. სააგენტო“. იუწყებიან, რომ გემი „განს ვაგნერი“ დელაგოას ნავთ-სადგურში ინგლისელებს შეუპყრიათ. ფირმამ, რომელსაც ეს გემი ეკუთვნის, საჩივარი შეიტანა გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროში.

**კანეა.** „კორრ. ბიურო“. 24 დეკემბერი. რუსეთის ქვეითა ჯარის სამი როტა, რომელიც აქამდისინ რეტიმნოში იდგა, სუდას ნავთსადგურში ჩასხდებიან გემში ოდესაში წასასვლელად.

**პარიჟი.** „ჰავას. სააგ.“ იუწყებიან, რომ საფრანგეთის ქვეითა ჯარის ერთი კოლონა კუანგჩევანიდან გამოვიდა და 15 დეკემბერს გაემგზავრა ჩინეთის ქალაქ ვუგლინკს, რომელიც აგიტაციის ცენტრია და სადაც სცხოვრობენ ის პირნი, რომელთა შთაგონებით დახოცეს მიჩმანები კუნი და გურლაუენი, 16 დეკემბერს დიდი ბრძოლა მოუხდა, საფრანგეთის ჯარის წინააღმდეგ 1500 ჩინელია განსწავლულ მილიციონერთა. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა საფრანგეთის ჯარმა. ჩინელებს მოუკლეს 200 კაცი, ფრანგების მხრით კი მხოლოდ 15 კაცია მოკლული და დაჭრილი.

**კაპშტადტი.** „რეიტ. სააგ.“ აქამდის არაფერს იტყობინებიან ფრენჩის ჯარებისაგან კოლესბერგის დაჭერის შესახებ. ხმებია, ვითომც გუშინ საღამოს ქალაქში შესულა დამზვერავ დარაჯთა რაზმი.

**დუგლასი.** რეიტ. სააგ.“ პოლკოვნიკს პილჩერს დუგლასში შესვლის დროს იქაურ მცხოვრებთა წინააღმდეგობა არ გაუწიეს, არამედ დიდის ალტაცებით ეგებებოდნენ ჯარეს.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენ.“ სამხედრო უწყებამ გარდასწყვიტა შეადგინოს 12 ბატალიონი მილიციისა ინგლისის გარეშე მცხოვრებთაგან და იმათგან შვიდი ბატალიონი გაგზავნოს კაპის ახალშენებში.

**ლისსაბონი.** წარმომადგენელთა კრებების გახსნის დროს წაიკითხულ ეპისტოლეში ნათქვამია: პორტუგალიას ყველა სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილების ლება აქვს, ამასთანავე მოხსენებულია ის მეგობრული განწყობიდამამტკიცებელი ფაქტი, რომ პორტუგალიას ეწვივნენ გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის ფლოტები. შემდეგ ეპისტოლეში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ მოზამბიკის ექსპედიცია კარგად დმსრულდა და გამოთქმულია ის აზრი, რომ ერი, რომელმაც შეიძლო ამ ქვეყნის დაპყრობა ცივილიზაციისათვის, შეიძლებს, რასაკვირველია, დაიცვას და დაიფაროს იგი შემდეგშიაც. დასასრულ მოხსენებულია ის ზომები, რომელიც მიღებულ იქმნენ ფინანსთა გასაუმჯობესებლად.

**პარიჟი.** „ჰავას. სააგ.“ უმაღლესი სასამართლო. გერენის დამცველი ვექილის სიტყვის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა, რომ კამათი დასრულებულიაო. უმაღლესმა სასამართლომ გაამართლა გოდეფრუა, დევო, სობსანა და დერიმელი. დამნაშავედ სცნო ბუფე, განაჩენს დანარჩენ ბრალდებულთა შესახეა ხვალ გამოაცხადებენ.

**ლონდონი.** „დაილ მაილ“-ის ცნობებიდანა სჩანს, რომ კაბინეთის წევრებმა. რომელნიც აგრეთვე არიან სახელმწიფოს დაცვის კომიტეტის წევრებსც, გარდასწყვიტეს მოითხოვონ კრედიტი 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი ახალი ზარბაზნების შესაძენად.

დრ. რედაქტ. **ალ ჭყონია.**

# გამოსადეგი ცნობანი

### საკალენდარო ცნობები

**ხუთშაბათი,** 23 დეკემბერი. 1899 წ. მე-357 დღე; წლის დასრულებამდე დარჩა 8 დღე. მე-4 დღე მთვარისა. მე-39 დღე შობის მარხვისა. ხსენება წმ. ათთა მოწამეთა კრიტელთა და ღირსთთა პავლესი და ნიფონტისა. სომეხთ კალენდარი: ხსენება წმ. დავით წინასწარმეტყველისა და წმ. მოციქულისა იაკობისა. კათოლიკეთა კალენდარი: ხსენება ვიქტორიასი და თეობალდისა. მაჰმადიანთა კალენდარი: პიანჯ-შანბე, მესამე რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1317 წ. ჰიჯრისა. ფატიმ ზახრის გარდაცვალების დღე.

**პარასკევი,** 24 დეკემბერი. მე-358 დღე 1899 წლისა; წლის დასრულებამდე დარჩა 7 დღე. მე-5 დღე მთვარისა. მე-40 დღე შობის მარხვისა. ხსენება წმ. ღირსისა მოწამისა ევგენიასი და მასთან პროტასიასი, იაკინთესი და კლავდიასი; ღირსისა ნიკოლოზის. სომეხთა კალენდარი: მარხვა, კათოლიკეთა კალენდარი: ადამისა და ევასი. მაჰმადიანთა კალენდარი: ჯუმა, მე-4 რიცხვი თთვისა რამაზიანისა, 1317 წ. ჰიჯრისა.

შემდეგი უქმე დღე: 25 დეკემბერს, შაბათს, შობა იესო ქრისტესი.

### ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —7 1/2 | კ. |
| სუკი . . . . | 1 „ | —12 | კ. |
| „ ცხვრისა . . | „ „ | — 8 | კ. |
| „ კამეჩისა . . | „ „ | — 5 | კ. |
| „ ღორისა . . | „ „ | — 5 | კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ. . | 1 „ | — 9 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 „ კ. |
| „ „ | II | „ „ | 3 1/2 |
| „ „ | III | „ „ | 3 „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ | 5 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |
| „ „ | III | „ „ | 3 1/2 „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 „ |
| „ „ | II | „ „ | 4 „ |

### ტფილისის ბაზრები

| გაიყიდა: | | მეიდნებზე | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 45 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 75 | — | 86 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უცრო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 55 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 42 | — | — |
| ბზე . . . . . . | „ | — | 20 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში (არ არის) მ., შეშა ნარევი 32 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, ცხვარი 3 თათრული 80 კ.-დამ 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 7 მ.-დამ 7 მ. 25 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 26 მ.-დამ 36 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, —მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 35 კამეჩი შესაბმელი —

### რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | | ხარისხი. | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 | კ. | № 4—7 | „ 25 | „ |
| № 1—8 | „ 50 | „ | № 5—7 | „ — | „ |
| № 2—8 | „ — | „ | № 6—6 | „ 75 | „ |
| № 3—7 | „ 50 | „ | № 7—6 | „ 25 | „ |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 44 კ. 46 კ. ქერი როსტოვში 61 კ. 62 კ.-მდე. ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე. მოტანა-ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ—4 მ. 10 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60-მდე.

**ქალაქის სახელმწიფო სააგადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავად-

მყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

—

**ქალაქის სავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

—

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

—

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო სავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

—

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

—

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 5 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 9 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ.. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ., 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვოიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5. 08 წ. მეორე დილის 11. 48 წ. მესამე დღის 4. 40 წ. მეოთხე საღამოს 10. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულაში გადის ღამის 6 ს. 50 ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ. ქუთაისში მიდის 6 ს. 20 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისსა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთ საჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკაზში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 წ. ს. 30

---


# განცხადებანი

—

ექიმი
უ. ჩიქოვანი
გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზე, № 25.
ტელეფონი № 629. წ.

---

ნაფიცი ვექილი
გიორგი გვაზავა
გადმოვიდა სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლებში. წ.

---

საუკეთესოდ მოწყობილი
სტამბა
წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა
ილიას ყიფიანისა
სასტამბო საქმეებს
სტამბა იმყოფება ბანკის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

---

ისტორიული ნარკვევი
ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენილი
ალექსანდრე ხახანასაგან
მოწონებულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან
საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის
ფასი 1 მ. 50 კაპ.
ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

---

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში
ახალი ქართული წიგნი
სიტყვიერების თეორია
სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია
წიგნი შედგენილია
ალექსანდრე ყიფშიძის კარიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ
ფასი 1 მანეთი
ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კ, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება
გლეხი-კაცის ისტორია,
ერკმან-შატრიანისა:
სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| | | ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| | | ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება


გამომცემელი გაბ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Декабря, 1899 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ისა. დიდი ბანკის ქუჩა, № 47.